საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზარდიანთკარი

ზარდიანთკარი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მერეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ჭარებულის (აძურის მარჯვ. შენაკადი; ლიახვის აუზი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 960 მ, გორიდან 28 კმ. 117 მცხ. (2002). სოფელში გამოვლენილია გვიანდ. ბრინჯაო – ადრინდ. რკინის ხანის გორანამოსახლარი. გორა (50მX20მ) დაყოფილია სამ ტერასად. ნაპოვნია თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ჯ. გვასალია